www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 27 ივლისი, 2013 წელი. | №3332 (139) | ფასი 50 თეთრი

„რესპუბლიკელი" თუ არაკვალიფიციური?

თიკა გურული

გუშინწინ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საკუთარ მომხრეებს მოუწოდა, „რესპუბლიკელებზე" და განსაკუთრებით პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილზე „თავდასხმებისგან" თავი შეიკავონ.
გუშინ განათლების ახალმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ, მთავრობის პირველივე სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო, ზუსტად საწინააღმდეგო გააკეთა.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ზაალ სამადაშვილი ირაკლი შიხიაშვილმა შეცვალა

თბილისის საკრებულოს ახალი თავმჯდომარე ჰყავს. გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე ყოფილი „ნაციონალი" ირაკლი შიხიაშვილი დეპუტატებმა, 24 ხმითით ერთის წინააღმდეგ, აირჩიეს. ასევე დაამტკიცეს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გიორგი მუსხელიშვილი. საკრებულოში ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა ფრაქცია „თბილისელების" თავმჯდომარემ გულიკო ზუმბაძემ. მისი განცხადებით, ირაკლი შიხიაშვილი შს სამინისტროს კადრია. ზუმბაძის ინფორმაციით, ინტერფრაქციული ჯგუფის სხდომაზე წარმოდგენილი იყო დოკუმენტი საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურის დაყენების შესახებ და მას ხელს აწერდა საკრებულოს 24 დეპუტატი. ზუმბაძისვე თქმით, ამ დოკუმენტის შესახებ ორი დღის წინ „პოსტფაქტუმ" გაიგო. ამის გამო, იგი მიიჩნევს, რომ კონსულტაციები საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურაზე ფარულად და არაგამჭვირვალედ ჩატარდა.

ფრაქცია „თბილისელების" თავმჯდომარის განცხადებით, საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურა ინტერფრაქციულ რეჟიმში არ განხილულა.

გარდა ამისა, თბილისის საკრებულოს გუშინდელ სხდომაზე ახალმა უმრავლესობამ 13 მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე აირჩია: ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიას ნიკოლოზ ხაჩირიშვილი უხელმძღვანელებს;

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ბაჩო ახალაია: ცრუ ჩვენებები პროკურატურის დაწერილია

თავდაცვისა და შს ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია პროკურატურას მის წინააღმდეგ ჩვენებების დაწერასა და საქმის შეთითხნაში ადანაშაულებს. შვიდი სპეცრაზმელის წამების საქმეზე გუშინ ბაჩო ახალაია პირველად დაკითხეს.

როგორც ყოფილმა მინისტრმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება უსაფუძვლოა. კერძოდ, პროკურორის შეკითხვაზე - იაღლუჯას საწვრთნელ ბაზაზე ორი სპეცრაზმელი გააშიშვლეს თუ არა და უკანა ტანში გაუკეთეს თუ არა ტოტები „ფოტოს გადასაღებად და ბაჩო ახალაიას სახალისოდ", თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა განაცხადა, რომ ყველაფერი პროკურატურის მოგონილია.

„ყველაფერი არის თქვენი მოგონილი თავიდან ბოლომდე. ჩვენებებიც თქვენი დაწერილია. მსგავსი დანაშაული იაღლუჯის ბაზაზე არ მომხდარა და ბრალდება, რომელიც ჩემ წინააღმდეგ გაქვთ გაწერილი, უსაფუძვლოა. სპეცრაზმელებს რეინჯერის კურსი უტარდებოდათ," - განაცხადა ბაჩო ახალაიამ.

პროკურორის თქმით კი, რეინჯერის პროგრამა სისხლის სამართლის საქმეში არ არსებობს და თუკი სპეცრაზმელებს მართლაც ჩაუტარდათ სასწავლო კურსი, რატომ არ არსებობს საქმეში ეს დოკუმენტი. ბაჩო ახალაიამ საპასუხოდ განაცხადა, რომ შს სამინისტროში მისი ყოფილი მოადგილის შალვა ჯანაშვილის ხელმოწერით არსებობს რეინჯერის პროგრამა, რომლის ამოღების საშუალებაც აქვს პროკურატურას.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ტუნისში პოლიტიკოსის მკვლელობას გაფიცვა მოჰყვა

ხალხის დიდი ნაწილის აღშფოთება გამოიწვია ტუნისში ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, მოჰამედ ბრაჰიმის მკვლელობამ. ის იყო მემარცხენე ნაციონალისტური „სახალხო მოძრაობის" თავმჯდომარე. პოლიტიკოსი ხუთშაბათს დედაქალაქ ტუნისში, საკუთარი სახლის წინ მოკლეს.

მკვლელობის დროს მის გვერდით იმყოფებოდნენ მისი მეუღლე და შვილები. მას უცნობმა პირებმა გაუხსნეს ცეცხლი, რომლებიც მოტოციკლებზე ისხდნენ. ჯერ უცნობია, ვინ დგას ამ მკვლელობის უკან.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6566 ↓
1 ევრო	2.1822 ↓
1 ინგლისური გირვანქა	2.5419 ↓
1 თურქული ლირა	0.8651 ↓
100 რუსული რუბლი	5.1271 ↓

თბილისი	32°C - 19°C
ქუთაისი	28°C - 17°C
თელავი	32°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 15°C
ბათუმი	26°C - 18°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

„დილას" მომავალი მეტოქე ექვსიანებში ზის

გრიგოლ ხოშტარია

უეფას ევროპის ლიგის მეორე ეტაპის გადალახვის შემდეგ, გორის „დილა" პირდაპირ ხორვატიაში გაემგზავრა.
გორელთა პრესსამსახურის ცნობით, 26 ივლისს „დილა" დანიიდან სტამბოლში ჩაფრინდა, იქიდან კი სპლიტში გაემგზავრება. ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩისთვის, რომელიც 1 აგვისტოს სპლიტში ადგილობრივ „ჰაიდუკთან" შედგება, „დილა" ხორვატიაში მოემზადება.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

კინოგრავიტაცია

ცნობილია ვენეციის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამა

Kaze Tachinu

ია ვეკუა

მსოფლიოს ყველაზე ძველი, ა კლასის ფესტივალებს შორის ერთ-ერთი, ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალი იუბილარია. ვენეცია ფესტივალს 70-ედ მასპინძლობს, რაც ნიშნავს, რომ წლევანდელი ფესტივალი გამორჩეული და განსაკუთრებული უნდა იყოს არა მხოლოდ სანახაობრივად, არამედ პროგრამის მხრივაც. როგორც წესი, ვენეციის კინოფესტივალს ამ სეგმენტის მხრივ პრობლემა არასდროს არ აქვს და, იმედია, ასე იქნება წელსაც.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

რიჩარდ ნორლანდი - დაწმუნებულები ვართ, საქართველო განვითარებას გააგრძელებს

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ საქართველო გააგრძელებს განვითარებას, - ამის შესახებ საქართველოში აშშ-ს ელჩმა რიჩალდ ნორლანდმა ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ათასწლეულის გამოწვევის“ კორპორაციასა და საქართველოს მთავრობას შორის ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიაზე განაცხადა.

მისივე განცხადებით, დღვანდელი შეხვედრა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა დაინტერესებულია, საქართველოს მხარი დაუჭიროს და ქვეყანას დემოკრატიის განვითარებაში დაეხმაროს.

„ეს არის დადასტურება, რამდენად ენდობა ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს. ეს ნდობა ემყარება არა მარტო წარსულ წარმატებულ თანამშრომლობას, არამედ იმას, რომ დაწმუნებულები ვართ, საქართველო გააგრძელებს განვითარებას,“ - განაცხადა რიჩარდ ნორლანდმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი მიესალმა პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებას წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას ძალადობის დაგმობის შესახებ.

ელჩის განცხადებით, პრემიერმა ცალსახა კომენტარები გააკეთა და წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში ძალადობის ყოველგვარი გამოვლინება დაგმო.

ამასთან, როგორც „ათასწლეულის გამოწვევის“ კორპორაციის დირექტორმა დანიელ იოჰანესმა ხელმოწერის ცერემონიისას აღნიშნა, ხელშეკრულების გაფორმება კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ თუ რამდენად წარმატებული ურთიერთობა არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის. მისივე თქმით, „ათასწლეულის გამოწვევის“ კორპორაციის პირველი კომპაქტი დამყარებულია მნიშვნელოვან ფასეულობებზე და მეორე კომპაქტი ამ მიმართულების გაგრძელება იქნება.

დავით ბაქრაძე - დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის გამო შეშფოთებულები არიან

ამის შესახებ ჟურნალისტებს გუშინ დავით ბაქრაძემ დიპლომატიური კორპუსისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს შორის გამართული შეხვედრის შემდეგ განუცხადა.

როგორც საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი აცხადებს, დიპლომატებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ ძალადობა დაუშვებელია.

„დღევანდელი შეხვედრის ძირითადი თემა იყო საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობა. ჩვენი მეგობრები განსაკუთრებით შეშფოთებულები არიან ზუგდიდში მომხდარი ინციდენტის გამო, რადგან ძალადობა დაუშვებელია და იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო კამპანია ძალადობრივ ფონზე წარიმართება, ეს ძალიან დიდი კითხვის ქვეშ დააყენებს არჩევნების თავისუფლებას და საქართველოს ევროპულ მომავალს,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

მისივე თქმით, საერთო ინტერესს უნდა წარმოადგენდეს, რომ არჩევნები დაცული იყოს ძალადობისგან და თავისუფალ გარემოში წარიმართოს.

„იმედი მაქვს, ხელისუფლება არა მხოლოდ განცხადებებით, არამედ ნაბიჯებით და კონკრეტული მოქმედებებით დაადასტურებს იმას, რომ საქართველოში არჩევნები თავისუფლად ჩატარდება. ეს უნდა იყოს ჩვენი საერთო ამოცანა. ჩვენ, როგორც ოპოზიცია, დაინტერესებულნი ვართ, რომ საარჩევნო პროცესი წარიმართოს ნორმალურ გარემოში და თუ ხელისუფლება ამისკენ ნაბიჯებს გადადგამს და აღკვეთს ძალადობას, ჩვენ მართლაც გვექნება შანსი, ჩავატაროთ თავისუფალი არჩევნები და ამით მოიგოს საქართველოს მომავალმა,“ - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

დავით ზალკალიანი - ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სამხედრო მოქმედება არაკანონიერია

ოკუპირებულ ტერიტორიაზე ნებისმიერი სახის სამხედრო მოქმედება არაკანონიერია, - ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ დავით ზალკალიანმა აფხაზეთში მიმდინარე წვრთნების თემაზე ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისივე თქმით, აღნიშნული ქმედება საერთაშორისო სამართლის ნორმის დარღვევაა.

ზალკალიანის განმარტებით, აფხაზეთში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმირებულნი არიან საერთაშორისო თანამეგობრობა, ჟენევის თანათავმჯდომარეები, ასევე ევროკავშირის ხელმძღვანელობა.

„ჩვენ მუდმივად ვაკეთებთ მონიტორინგს და საერთაშორისო თანამეგობრობა საქმის კურსშია ჩაყენებული,“ - განაცხადა დავით ზალკალიანმა.

ზაალ სამადაშვილი ირაკლი შიხიაშვილმა შეცვალა

პირველი გვერდიდან

ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმების კომისიას - მამუკა კაციტაძე; ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის კომისიას - ზაურ დოლიძე; სარევიზიო კომისიას - მიხეილ ქავთარაძე; ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიას - მაკა გვარამია; ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას - ნინო თევდორაძე; განათლებისა და კულტურის კომისიას - ზურაბ გაჩეჩილაძე; საერთაშორისო ურთიერთობის კომისიას - კახა გურული; ადამიანის უფლებათა და საზოგადოებასთან ურთიერთობის კომისიას - კახა კუკავა; იურიდიულ საკითხთა კომისიას - დავით ჯინჭარაძე; სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას - გელა ომანიძე; გარემოს დაცვის კომისიას - კახაბერ ფირუაშვილი და სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას - ნათელა მაჭავარიანი.

სხდომაზე ასევე თანამდებობიდან გადააყენეს სამი კომისიის თავმჯდომარეების მოადგილეები - მარიამ დიდებულიძე, მერაბ რაფავა და ვახტანგ ცაგარეიშვილი.

ასევე თანამდებობიდან გათავისუფლდა თბილისის საკრებულოს აპარატის უფროსი მარინა დათუაშვილი. საკრებულომ 25 ხმით ამ თანამდებობაზე გიორგი ფიცხელაურის კანდიდატურა დაამტკიცა.

რიგგარეშე სხდომამდე კი თბილისის საკრებულოში პლენარული სხდომა გაიმართა, რომელზეც დეპუტატებმა საკრებულოს თავმჯდომარის პოსტიდან ზაალ სამადაშვილი გადააყენეს.

ამ საკითხს ხმა მისცა 25-მა დეპუტატმა არც ერთის წინააღმდეგ. სხდომას საკრებულოს უკვე ყოფილი თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი არ დასწრებია, რის გამოც თავმჯდომარის მოვალეობა ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრმა ჯაბა სამუშიამ შეასრულა. მან საზოგადოებას „ერთპარტიული დიქტატურის დასრულება“ მიულოცა.

სხდომას, საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ნატოს სამეკავშირეო ოფისი - საქართველოს“ ხელმძღვანელი უილიამ ლაჰიუ, არასამთავრობო და საერთაშორისო ირგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პლენარულ და რიგგარეშე სხდომებს შორის კი ახალი უმრავლესობის წევრებმა საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის შესახებ საბოლოო კონსულტაცია გამართეს, რომლის შედეგადაც ირაკლი შიხიაშვილის კანდიდატურაზე შეჯერდნენ.

ბაჩო ახალაია: ცრუ ჩვენებები პროკურატურის დაწერილია

პირველი გვერდიდან

„აღნიშნული დოკუმენტის გამოთხოვის საკანონმდებლო შესაძლებლობა მე არ მაქვს და მამაჩემს ხომ არ დავაწერინებ ამ პროგრამას. ეს ინახება შს სამინისტოში შალვა ჯანაშვილის ხელმოწერით, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, გამოითხოვოთ, მაგრამ ამას არ აკეთებთ,“ - მიმართა ბაჩო ახალაიამ პროკურორს.

ასევე, მან გაიხსენა ის პერიოდი, როდესაც შს სამინისტროს დანაყოფის რეინჯერის კურსით მომზადება გადაწყვიტა. ბაჩო ახალაიას თქმით, როდესაც შს საქმეთა მინისტრი გახდა, შეამოწმა სამინისტრო და გამოავლინა, რომ სპეცრაზმის დანაყოფი მოუმზადებელი იყო. ახალაია იხსენებს, რომ მან თავის მოადგილეებთან - შალვა ჯანაშვილთან და ნიკა ძიმცეიშვილთან ერთად მიიღო აღნიშნული დანაყოფის მომზადების გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც ისინი იაღლუჯას საწვრთნელ ბაზაზე გადაიყვანეს. ბაჩო ახალაია აცხადებს, რომ თუკი საშუალება მიეცემოდა, აღნიშნული დანაყოფიდან ძალიან ბევრს გაათავისუფლებდა, რადგან დანაყოფი ძალიან დაბალი დონის იყო. ამაზე პასუხისმგებლობას კი ახალაია თავის ყოფილ მოადგილეს შალვა ჯანაშვილს აკისრებს.

ყოფილი მინისტრის განცხადებით, მეტი დრო რომ ჰქონოდა, აღნიშნული დანაყოფის დიდ ნაწილთან ერთად, შალვა ჯანაშვილსაც გაათავისუფლებდა თანამდებობიდან.

მისი შეფასებით, ის დანაყოფი, რომელზეც სისხლის სამართლის საქმეშია საუბარი, ყველაზე სამარცხვინო დანაყოფი იყო.

გუშინდელ პროცესზე პროკურორმა შაქრო ზაალიშვილმა ბაჩო ახალაიას ჰკითხა - ადგილი ჰქონდა თუ არა სპეცრაზმელებზე პოლიტიკურ ზემოქმედებას. **„არჩევნებში „ნაციონალებს“ რომ გაემარჯვათ, მაგ შეკითხვის დასმას ხომ ვერ გაბედავდით? არანაირი პოლიტიკური ნიშნით არ მომხდარა ზემოქმედება,“** - უპასუხა პროკურორს ყოფილმა მინისტრმა. ბაჩო ახალაიას თქმით, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაზარალებულ სპეცრაზმელებზე არანაირი პოლიტიკური ანგარიშსწორება არ მომხდარა და მათ მიმართ განხორციელებული ქმედებები წვრთნის ნაწილი იყო.

გუშინდელ პროცესზევე დაკითხეს სწავლებისა და წვრთნების მონიტორინგის სამსახურის მოქმედი უფროსი დავით მაყიშვილი. მისი განცხადებით, რეინჯერის კურსის გავლისას მთავარი პრინციპი ფსიქოლოგიური ზეწოლაა და კურსი მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე სიტყვიერ შეურაცხყოფას. სწავლებისა და წვრთნების მონიტორინგის სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მას საფრანგეთში აქვს გავლილი რეინჯერის კურსი. დავით მაყიშვილის თქმით, რეინჯერის პროგრამაში ყოველთვის იწერება თემები, ხოლო ინსტრუქტორის იდეები პროგრამის მიმდინარეობისას შეიძლება ისე განხორციელდეს, რომ მასში ეს იდეები არ იყოს გაწერილი.

„ინსტრუქტორს შეიძლება, ახალი იდეა დაებადოს, თუ როგორ მოახდინოს ფსიქოლოგიური ზეწოლა კურსანტზე. ეს შეიძლება იყოს ხელზე მიბმა, მუხლებზე დაბმა - ეს ინსტრუქტორის გადასაწყვეტია. თუ გინდა, რომ საქართველოში ადამიანი წყობილებიდან გამოიყვანო, უნდა შეაგინო. ეს მხოლოდ რეინჯერის კურსზე არ დადგენილა და აბსოლუტურად დასაშვებია კურსანტის მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფა, მათ შორის გინება,“ - განაცხადა პროცესზე დავით მაყიშვილმა. მანვე ბაჩო ახალაიას ადვოკატების შეკითხვების საპასუხოდ აღნიშნა, რომ აბსოლუტურად დასაშვებია, რომ რეინჯერის კურსანტმა 10 დღის განმავლობაში იშიმშილოს, თუმცა პროგრამის განხორციელებისას სრულად შიმშილობა დაუშვებელია.

„პროგრამაში არის თვითგადარჩენის კურსი და 10 დღე აშიმშილებენ კურსანტს, თუმცა, მას აძლევენ საშუალებას, რომ საკვები და წყალი მოიპოვოს,“ - დასძინა დავით მაყიშვილმა.

სწავლებისა და წვრთნების მონიტორინგის სამსახურის უფროსმა ასევე თქვა, რომ სპეცრაზმელს რეინჯერის კურსი გავლილი უნდა ჰქონდეს.

„ამ კურსის გავლისას იმ დონეზე ვარ მისული, რომ ერთი ერთზე ღმერთს ვესაუბრებოდი. იყო მომენტი, როდესაც ჩემს მეწყვილეს დედამისი ეჩვენებოდა. დღის განმავლობაში შესაძლებელია, ფიზიკური ტრავმებიც მიიღონ,“ - განაცხადა დავით მაყიშვილმა და განმარტა, რომ კურსიდან ადამიანებს მხოლოდ და მხოლოდ ექიმის დასკვნის საფუძველზე ხსნიან.

ბაჩო ახალაიას ადვოკატებმა მაყიშვილს ჰკითხეს, „არის თუ არა შესაძლებელი, რომ კურსის გავლის დროს ადამიანი გააშიშვლო და უკანა ტანში ჯოხი გაუკეთო?“ - როგორც საქმის ერთ-ერთ ეპიზოდშია ნახსენები. ამაზე მაყიშვილმა აღნიშნა, რომ უკანა ტანში ჯოხის გაკეთების ფაქტი მას რეინჯერების კურსის პროგრამაში არ სმენია.

ბაჩო ახალაიას ბრალად ედება განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო სპეცრაზმის 7 თანამშრომლის წამების ორგანიზება იაღლუჯას საწვრთნელ ბაზაზე. საქმეში არსებობს 7 დაზარალებული, ხოლო ბრალი წაყენებული აქვს 8 პირს. მათგან პატიმრობაში მხოლოდ ბაჩო ახალაია იმყოფება, დანარჩენი პირების ნაწილს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა, ნაწილი კი - გირაოს სანაცვლოდ პატიმრობიდან გაათავისუფლეს. განაჩენი, სავარაუდოდ, 2-3 პროცესში დადგება.

რაც შეეხება მეორე საქმეს, რომელიც ე.წ. სამხედროების წამებასა და თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას ეხება, სასამართლო პროცესი დღეს, 12:00 საათზე დაიწყება. სხდომაზე ადვოკატები დაცვის სიტყვას იტყვიან.

როგორც ჟურნალისტებს ბაჩო ახალაიას ერთ-ერთმა ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა განუცხადა, დასკვნითი სიტყვის დასრულების შემდეგ სასამართლო კამათის ეტაპზე გადავა, რის შემდეგაც ბრალდებულებს საბოლოო სიტყვის თქმის საშუალება მიეცემათ.

„თუ სასამართლოს დრო ეყოფა, შეუძლია, განაჩენი ხვალვე გამოაცხადოს,“ - განაცხადა გუშინ მალხაზ ველიჯანაშვილმა.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

„რესპუბლიკელი" თუ არაკვალიფიციური?

პირველი გვერდიდან

განათლების ახალდანიშნულმა მინისტრმა თამარ სანიკიძემ გუშინ მთავრობის სხდომაზე პრემიერ-მინისტრს დიდი მადლობა უთხრა გამოცხადებული ნდობისთვის, აღუთქვა, რომ აწ უკვე ყოფილი მინისტრისა და ამჟამად პრეზიდენტობის კანდიდატ გიორგი მარგველაშვილის დანატოვარს ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება; გუშინვე, მინისტრად წარდგენიდან თითქმის ორი კვირის გასვლის შემდეგ, მან თქვა, რომ ძირითად დროს მოადგილეების შერჩევას ანდომებს. მთავრობის სხდომის დასრულებისას კი სანიკიძემ ჟურნალისტებს საკუთარი დროის ხარჯვის ერთადერთი შედეგი გაუმხილა - იგი ოთხი მოადგილიდან, მხოლოდ ერთს ტოვებს თანამდებობაზე, „რესპუბლიკელ" დავით ზურაბიშვილს კი „მოადგილის რანგში აღარ განიხილავს". ახალმა მინისტრმა ამ განცხადებას ფართო საზოგადოებისთვის განკუთვნილი ფრაზაც დაუმატა: **„ვფიქრობ, მისი პოლიტიკური გამოცდილება გასაზიარებელია და მას ჩემი მრჩევლის პოზიციას შევთავაზებ."** მხოლოდ მოგვიანებით გახდა ცნობილი, რომ ზურაბიშვილის სავარძელს, ყოფილი და ახლანდელი მინისტრების მსგავსად, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის - GIPA-ს ვეტერანი კადრი ქეთევან ნატრიაშვილი დაიკავებს.

საქართველოს განათლების ახალ მინისტრს არც ის მიზეზი დაუკონკრეტებია, რატომ „აღარ განიხილავს" „რესპუბლიკელ" ზურაბიშვილს თავის მოადგილედ და არც ის, რა ნიშნით ჩაანაცვლა ზურაბიშვილი ნატრიაშვილმა. მან მხოლოდ ის თქვა, რომ **„ზურაბიშვილის გათავისუფლების გადაწყვეტილება პოლიტიკური არ არის. მოადგილედ, უბრალოდ, განათლების სპეციალისტი მჭირდება."**

სამაგიეროდ, სანიკიძის განცხადება, რომ მარგველაშვილს „ნაბიჯ-ნაბიჯ გაჰყვება", უნისონშია თავად დავით ზურაბიშვილის მოსაზრებასთან. **„ბატონი მარგველაშვილიც ფიქრობდა და, როგორც ჩანს, ქალბატონი სანიკიძეც ეთანხმება, რომ ეს მე ვერ ვართმევდი თავს დაკისრებულ მოვალეობას და ცოტა სასაცილოდ მეჩვენება ამ სფეროში ჩემს კვალიფიკაციაზე საუბარი,"** - აცხადებს ზურაბიშვილი და შეურაცხმყოფელად მიიჩნევს მინისტრ სანიკიძისგან მრჩევლის სტატუსის შეთავაზებას.

განათლების მინისტრის მოადგილის პოსტიდან გადაყენებას ზურაბიშვილი პოლიტიკურ სარჩულს უდებს. კერძოდ, საუბარია რამდენიმე კვირის წინ გაზეთ „ვერსიისთვის" მიცემულ ინტერვიუზე, სადაც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის მიერ თბილისის მერიის და საკრებულოს თანამშრომლების დაკავება-გათავისუფლება-დაკავების ფაქტის შეფასებისას, დავით ზურაბიშვილმა განაცხადა: **„მერწუმენთ, მალე „ნაციონალური მოძრაობის" გზას დავადგებით, ამიტომ აუცილებელია დაისაჯოს ის, ვინც ეს გააკეთა."** გუშინ ზურაბიშვილმა „ნეტგაზეთთან" საუბარში იგივე გაიმეორა და დაამატა, რომ მას თავისი გამონათქვამების გამო პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილისგან შენიშვნები არ მიუღია. ამის მიუხედავად, ზურაბიშვილის თქმით, პრემიერის გარეშე მისი თანამდებობიდან გათავისუფლება ვერ გადაწყდებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს არც პირველი და არც უკანასკნელი განცხადება იყო, რომლითაც „ქართული ოცნების" კოალიციაში შემავალი „რესპუბლიკური პარტიის" წევრებმა ხელისუფლების სხვადასხვა შტოების სხვადასხვა ქმედებები გააკრიტიკეს, დაწყებული პარლამენტის „რესპუბლიკელი" თავმჯდომარის დავით უსუფაშვილის განცხადებიდან - მსახიობებსა და სპორტსმენებს პარლამენტში იურისტები მირჩევნიაო, დასრულებული „რესპუბლიკელების" მხრიდან განათლების შესახებ კანონის თითქმის ერთსულოვანი დემარშით (თინა ხიდაშელის გამოკლებით) - ამ პარტიამ „ოცნების" უპირობო მხარდამჭერების უკმაყოფილება დაიმსახურა. მიუხედავად ამისა, როდესაც „რესპუბლიკური პარტიის" ერთ-ერთი თავკაცის, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის სიძეს, სოფლის მეურნეობის ექს-მინისტრ დავით კირვალიძეს ჯერ პრობლემები შეექმნა, ბოლო დროს კი ყოველ დღე პროკურატურაში დაკითხვაზე ატარებენ, ეს პოლიტიკურ ქმედებად ოფიციალურად არავის მოუნათლავს. სამაგიეროდ,

„ეს არის დარტყმა არა მხოლოდ ჩემი, არამედ „რესპუბლიკური პარტიის" წინააღმდეგ," - ასე უწოდებს განათლების მინისტრის მოადგილის პოსტიდან თავის გადაყენებას დავით ზურაბიშვილი - „რესპუბლიკური პარტიის" ის ერთადერთი წევრი, რომელიც არჩევნებში კოალიციის გამარჯვების შემდეგ აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოხვდა. ზურაბიშვილი დასძენს, რომ ამიერიდან აღმასრულებელ ხელისუფლებაში საქმიანობას გამორიცხავს და აპირებს, ძირითადად, პარტიული საქმიანობით დაკავდეს.

„რესპუბლიკური პარტია" კი, შეფასებებში ბალანსს ინარჩუნებს. კერძოდ, „რესპულიკელი" ლევან ბერძენიშვილი თანაპარტიელის გათავისუფლებას ვერც პოლიტიკურ მოტივებს უკავშირებს და მის არაკვალიფიციურობაზე მსჯელობასაც ცალსახად არ ეთანხმება. **„რესპუბლიკურმა პარტიამ" დავით ზურაბიშვილის გათავისუფლება, შესაძლოა, პარტიაზე თავდასხმად არ განიხილოს,"** - აცხადებს ბერძენიშვილი. თუმცა, მისი თქმით, პარტიაში არ ელოდნენ, რომ დავით ზურაბიშვილი მინისტრის მოადგილის პოსტზე აღარ იმუშავებდა, რადგან იგი მაღალკვალიფიციური კადრია. ლევან ბერძენიშვილის განმარტებით, საკითხს დეტალური შესწავლა სჭირდება, რადგან აღნიშნული გადაწყვეტილება ტექნიკური თვალსაზრისითაც გაუგებარია.

„არა მგონია, რომ ეს პარტიული ნიშნით მოხდა, მაგრამ ეს საკითხი უნდა შევისწავლოთ. რა თქმა უნდა, დავით ზურაბიშვილის გათავისუფლება სწორი არ არის, რადგან იგი ძალიან მაღალკვალიფიციურია. წარმოუდგენელია, თუ ზურაბიშვილიც ცუდად მუშაობდა და ალუდა გოგლიჩიძეც (განათლების მინისტრის კიდევ ერთი მოადგილე, რომელიც ახალმა მინისტრმა გაათავისუფლა - რედ), **სამინისტრო როგორღა მუშაობდა კარგად. ამიტომ ეს გადაწყვეტილება ცოტა გაუგებარია წმინდა ტექნიკური თვალსაზრისითაც. არის თუ არა ეს თავდასხმა პარტიაზე? მეეჭვება. შესაძლოა, ეს ასე არ განვიხილოთ. პარტია ამ საკითხზე იმსჯელებს. ეს სრულიად მოულოდნელი ამბავია. ჩვენ არ ველოდით, რომ ზურაბიშვილი მინისტრის მოადგილის პოსტს კვლავ არ დაიკავებდა,"** - აღნიშნა ლევან ბერძენიშვილმა.

და ბოლოს: პრემიერ-მინისტრი, რომელიც გუშინწინ მთელი ქვეყნის წინაშე „რესპუბლიკელებს" „ქართული ოცნების" მხარდამჭერებისგან იცავდა, გუშინ იმავე „რესპუბლიკელების" წარმომადგენლის თანამდებობიდან გათავისუფლებას გაგებით მოეკიდა. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, მას დიდი სურვილი ჰქონდა, ზურაბიშვილი თანამდებობაზე დაჩენილიყო, თუმცა, მისივე თქმით, განათლების ახალ მინისტრს დამოუკიდებლად საქმიანობის საშუალება უნდა მიეცეს. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, მას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების სურვილი ჰქონდა, თუმცა მენეჯერს **„საკუთარ დანიშვნებს თავს არ მოახვევს."**

სასამართლომ მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მარიამ კოჩალიძის მკვლელობაში ბრალდებულ მოჰამმადამინ როინინტანის პატიმრობა შეუფარდა. სასამართლოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციას „ინტერპრესნიუსი" უცვლელად გთავაზობთ: „2013 წლის 25 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლომ განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ მოჰამმადამინ როინინტანის მიმართ. სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა, მოისმინა მხარეთა განმარტებები, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, შეამოწმა შუამდგომლობის დასაბუთებულობა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლები და პროკურორის შუამდგომლობა დაკმაყოფილდა - ბრალდებულ მოჰამმადამინ როინინტანის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული იქნა პატიმრობა შემდეგ გარემოებათა გამო: ამ ეტაპზე საქმეში მოიპოვება, არსებული სტანდარტის მიხედვით, ფორმალური (საპროცესო) და ფაქტობრივი საფუძველი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის, კერძოდ, ბრალდებულ მოჰამმადამინ როინინტანის მიმართ პატიმრობის გამოყენებისთვის, ვინაიდან მოპოვებული მასალები (გამოძიების დაწყების აღრიცხვის ბარათი, შეტყობინება დანაშაულის ჩადენის შესახებ, შემთხვევის ადგილისა და გვამის დათვალიერების ოქმები, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ამოღებული ნივთები, დათვალიერების ოქმები და ამოღებული ნივთები, საგამოძიებო ექსპერიმენტის ოქმები, მოჰამმადამინ როინინტანის ფოტოსურათით ამოცნობის ოქმები, მოჰამმადამინ როინინტანის მიერ სახელმწიფო საზღვრის კვეთის მონაცემები, ნივთის ამოცნობის ოქმი, მოწმეების: ჟუჟუნა ბერიძის, ლიანა მგელაძის ინგა დანელიას, თეა ცისკაძის, გოჩა მსხალაძის, მარიამ ჩავლეიშვილის, გურამ მიქელაძის, ქრისტინე დუმბაძის, შინდიკო რიჟამაძის, შუქრი შიშმანიძის, გელა მალაზონიას, თემურ ჯაიანის, დავით არძენაძის, რომან ლაშხიას ჩვენებები და გამოძიების მიერ მოპოვებული სხვა წერილობითი მასალები) საკმარისია დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" და „გ" პუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული შესაძლოა, ჩაიდინა ბრალდებულმა მოჰამმადამინ როინინტანიმ. ბრალდების მხარის მოთხოვნა ამ ეტაპზე ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ, საქმის ყველა გარემოების მხედველობაში მიღებით, დასაშვებადაა მიჩნეული, რაც არ ეწინააღმდეგება როგორც საერთაშორისო აქტის „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ" ისე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს, არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებულ არაერთ გადაწყვეტილებათა სტანდარტს, ანუ სახეზეა ხელის შეშლის საფრთხე საქმეზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვებისთვის.

სასამართლომ ასევე გაითვალისწინა ბრალდებულის პიროვნება, წარდგენილი ბრალდების სიმძიმე (მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე განზრახ დანაშაულთა კატეგორიას, რომლისთვისაც სასჯელის სახედ გათვალისწინებულია თექვსმეტიდან ოც წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთა), ქმედების ხასიათი და შინაარსი (მას ბრალი ედება განზრახ მკვლელობაში, ჩადენილი განსაკუთრებული სისასტიკით, ანგარებით). ასევე, სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მოჰამმადამინ როინინტანმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთით დატოვა საქართველოს ტერიტორია, ხოლო აღნიშნული გარემოება იძლევა დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ იგი ცდილობს მიმალვას. შესაბამისად, სასამართლოს დასაბუთებულად მიაჩნია ვარაუდი, რომ მოსალოდნელი სასჯელის გონივრული მოლოდინის რეჟიმში მყოფი ბრალდებულის მხრიდან არსებობს საფრთხე, რომ თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში მიიმალოს," - აღნიშნულია განცხადებაში. 16 წლის მარიამ კოჩალიძე 23 ივლისს ბათუმის ახალი ბულვარის ბოლოს, სანაპიროზე მოკლული იპოვეს.

„ქართულ ოცნებაში" მაჟორიტარული სისტემის შეცვლაზე მსჯელობენ

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი მაჟორიტარული სისტემის საკითხს გუშინ კიდევ ერთხელ დაუბრუნდა. მას მიაჩნია, რომ მაჟორიტარებმა დამოკიდებულება უნდა შეიცვალონ და კარგად გააცნობიერონ, რა ევალებათ. მისი თქმით, მაჟორიტარი დეპუტატები თავის ფუნქციებს უნდა ასრულებდნენ და სამინისტროების საქმიანობაში ზედმეტად არ ერეოდნენ. **„მაჟორიტარებმა რეგიონებს ყურადღება უნდა მიაქციონ. მათ ევალებათ, შეხვდნენ ამომრჩევლებს და გაიგონ, რა ხდება რეგიონებში. ეს საკმარისი იქნება იმისთვის, რომ მათ გარკვეული მონაწილეობა მიიღონ რეგიონების განვითარებაში, მაგრამ ამაზე მეტად არ უნდა ჩაერიონ. არის ფორმები და ზღვარი, რაც მათ უნდა დაიცვან,"** - თქვა ბიძინა ივანიშვილმა.

ეკონომისტებთან შეხვედრაზე კი ივანიშვილმა მაჟორიტარული სისტემის გაუქმების შესაძლებლობაზეც ისაუბრა. თუმცა, გუშინ დააზუსტა, რომ გაუქმების შესახებ მისი განცხადება ჰიპოთეტური ხასიათის იყო და ამ თემაზე სერიოზული მსჯელობა არ მიმდინარეობს, **„თუმცა, გუნდში ეს იდეა არსებობს,"** - დასძენს ივანიშვილი.

მოქმედ მაჟორიტარულ სისტემას აკრიტიკებს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე, დიდუბის მაჯორიტარი დეპუტატი ვახტანგ ხმალაძე. მისი აზრით, ქართულ საარჩევნო სისტემას სერიოზული პრობლემები აქვს, რომელიც 1990-იანი წლებიდან მოდის.

ხმალაძის აზრით, არჩევნების შერეული - მაჟორიტარული და პროპორციული საარჩევნო სისტემებით ჩატარება პრობლემას ქმნის. **ჩვენ გვაქვს ძალიან დიდი და ძალიან პატარა საარჩევნო ოლქები. ისეთი მაგალითად, როგორიც არის ქუთაისი, გლდანი, ნაძალადევი და მეორე მხრივ, ყაზბეგი, ყველა მათგანი თითო მაჟორიტარს ირჩევს. ეს თანასწორობის პრინციპის სერიოზულ დარღვევად არის მიჩნეული და ვენეციის კომისიის დასკვნა ამის გამოსწორებისკენ მოგვიწოდებს,"** - ამბობს ხმალაძე.

ვახტანგ ხმალაძე უპირატესობას რეგიონულ-პროპორციულ საარჩევნო სისტემას ანიჭებს. **„საქართველო რამდენიმე დიდ საარჩევნო ოლქად დაიყოფა და თითოეულ ოლქს მანდატი ამომრჩეველთა რაოდენობის პროპორციულად მიენიჭება. ოლქში 15-17კანდიდატი იქნება და მათგან რამდენიმეს აირჩევენ. ასეთი სისტემა საკმაოდ კარგად იმუშავებს,"** - მიიჩნევს ხმალაძე.

ბორჯომის მაჟორიტარი დეპუტატი გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ კანონი მაჟორიტარს უფლებას არ აძლევს, რომ თავისი ოლქის ცხოვრებაში რაიმე ფორმის მონაწილეობა მიიღოს. როგორც ფოფხაძე ამბობს, მაჟორიტარსა და პროპორციული წესით არჩეულ პარლამენტარებს შორის არანაირი საკანონმდებლო დიფერენცირება არ არის. „2008 წელს იყო იდეა, რომ რეგიონულ-პროპორციული სიები ყოფილიყო. დეპუტატს არა ერთი ოლქი, არამედ რეგიონი აირჩევდა. მაშინდელ ხელისუფლებას ეს სისტემა არ აწყობდა, რადგან მოქმედი სისტემით მეტ მანდატს მოიპოვებდნენ," - ამბობს ფოფხაძე.

ვიცე-სპიკერი, სამგორის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ მაჟორიტარი დეპუტატს მოქალაქეების წინაშე დიდ პასუხისმგებლობა აქვს აღებული. „ხალხო მოდის და ბევრი პრობლემის მოგვარებას უშუალოდ დეპუტატისგან ითხოვს. ამავე დროს, ფუნქციონირებს აღმასრულებელი რგოლი - გამგეობა, მერია, საკრებულო და ხშირად ამ მიმართულებით კომუნიკაციისა და საკითხის გადაწყვეტის პრობლემები წარმოიშობა. პრემიერი ალბათ ამას გულისხმობდა," - თქვა აბაშიძემ.

განსხვავებულად ფიქრობენ „ნაციონალური მოძრაობაში. „კარგია, რომ ბიძინა ივანიშვილი აღიარებს იმას, რომ „ქართული ოცნების" სხვადასხვა მაჟორიტარი პატარ-პატარა ფეოდალად იქცა," - ამბობს საპარლამენტო უმცირესობის წევრი გიორგი კანდელაკი. მისი აზრით, ამის მიზეზი პოლიტიკური და საარჩევნო სისტემა არ არის. როგორც კანდელაკი ამბობს, საარჩევნო სისტემის გაუმჯობესების შესახებ საუბარი ყოველთვის შეიძლება და ეს ლეგიტიმური დისკუსიაა. „მთავარია, ივანიშვილმა დაადასტურა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ფეოდალური და კორუფციული ინსტიქტების მქონე, უუნარო პოლიტიკოსებისგან შედგება," - დასძენს კანდელაკი.

საკუთარი ინფორმაცია

პარლამენტში ბომბი ვერ აღმოაჩინეს

გუშინ პარლამენტში რიგგარეშე სხდომა ჩაიშალა. 15:00 საათზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ 112-ში უცნობმა პირმა დარეკა და თქვა, რომ ქუთაისში პარლამენტის შენობა აფეთქდებოდა.

პარლამენტის დაცვამ დეპუტატებსა და შენობაში მყოფ პირებს შენობის დატოვებისკენ მოუწოდა. პარლამენტის შენობასთან რამდენიმე წუთში საგანგებო სიტუაციების სამსახური და იმერეთის სამხარეო სამმართველოს წარმომადგენლები გამოჩნდნენ. პერიმეტრი ამკრძალავი ლენტით შემოისაზღვრა.

პარლამენტში ბომბის შესაძლო არსებობის შესახებ განცხადება პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გააკეთა. მისი თქმით, სამართალდამცავ ორგანოში შევიდა შეტყობინება, რის გამოც წინასწარ შემუშავებული გეგმით შენობიდან ხალხის ევაკუაცია დაიწყო. **„შენობას მალე ყველა თანამშრომელი დატოვებს, ხოლო შენობის შემოწმებას რამდენიმე საათი დასჭირდება, რის გამოც სხდომა ვერ გაიმართება,"** - თქვა უსუფაშვილმა.

მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გაავრცელა, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ შესაბამისი წესების დაცვით, შსს-ს გამნაღმველთა სამსახურმა და კინოლოგებმა იმუშავეს. დაახლოებით, ერთსაათიანი მუშაობის შედეგად პარლამენტის შენობაში ბომბის არსებობა არ დადასტურდა.

რამდენიმე საათში იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა 1942 წელს დაბადებული, ქუთაისში მცხოვრები ომარ ფ. დააკავეს. მას ტერორიზმის შესახებ ცრუ შეტყობინებისთვის ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 331-ე მუხლით წაუყენეს, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთიდან ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

საკუთარი ინფორმაცია

რუსმა ჰაკერებმა ასობით მილიონი მოიპარეს

ხუთშაბათს ნიუ-იორკის ფედერალურმა პროკურატურამ ოფიციალურად წაუყენა ბრალი რუსეთის მოქალაქეებს ალექსანდრე კალინინსა და ნიკოლაი ნასენკოვს კომპიუტერების გატეხვაში, თაღლითობასა და პირადი მონაცემების მოპარვაში. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მათ 30 წლით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ. ბრალდების მიხედვით, 2005-დან 2008 წლამდე მათ სხვადასხვა ფინანსური დაწესებულებების კომპიუტერები გატეხეს, საბანკო ანგარიშების მონაცემები მოიპარეს, რაც შემდგომში მილიონობით დოლარის გამოსატანად გამოიყენეს. „ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, დაზარალებულ ფინანსურ დაწესებულებებს შორის არიან „სიტიბანკი“ და „PNC“ ბანკი. პლასტიკური ბარათებით დამნაშავეებს ფული მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამოჰოქონდათ, მათ შორის დიდ ბრიტანეთში, რუსეთში, ამერიკასა და თურქეთში. ამ დროისთვის არც ერთი მათგანი არ არის დაპატიმრებული.

ერაყში თავდასხმების სერიას ათობით ადამიანი ემსხვერპლა

ადგილობრივი ხელისუფლების განცხადებით, ერაყში თავდასხმების სერიას, სულ მცირე, 31 ადამიანი ემსხვერპლა. ქალაქ მადაინში აფეთქება ერთ-ერთ კაფეში მოხდა. რამდენიმე დღის წინ კი ერაყის ორ ციხეს დაესხნენ თავს, საიდანაც ასობით პატიმარი გაიქცა. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „ალ ქაიდამ“ აიღო. გაქცეულებს შორის „ალ ქაიდას“ არაერთი წევრია, ზოგ მათგანს სიკვდილიც ჰქონდა მისჯილი.

სირიის ოპოზიცია ჯონ კერის იარაღით სწრაფად დახმარებას სთხოვს

ხუთშაბათს სირიის ოპოზიციის ლიდერმა ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის უთხრა, რომ ქვეყანაში „გამოუვალი“ ვითარებაა და ამერიკას მეამბოხეებისთვის იარაღის სწრაფად მიწოდებისკენ მოუწოდა. გაეროს მონაცემებით, 2011 წლის მარტში დაწყებულ კონფლიქტს 100 000 ადამიანზე მეტი შეეწირა. რეალური მონაცემები ამ ციფრს, დაახლოებით, ერთი მესამედით აჭარბებს. ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამა სირიის ომში ჩარევისგან თავს იკავებს. ცოტა ხნის წინ კი კონგრესი თეთრი სახლის მიერ სირიის ოპოზიციის შეიარაღებაზე, ფაქტობრივად, დათანხმდა, თუმცა კონგრესმენებს მაინც აღელვებთ ის ფაქტი, რომ იარაღი შესაძლოა, ისლამისტი ექსტრემისტების ხელში მოხვდეს - მაგალითად, ისეთის, როგორც „ჯებჰატ ალ-ნუსრაა.“

„ამერიკის სამხედრო დახმარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია და ეს რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს, რათა მოქალაქეები და საკუთარი თავი დავიცვათ,“ - აღნიშნავს სირიის ეროვნული კოალიციის ახლად არჩეული ლიდერი აჰმედ ალ-ჯარბა, რომელიც ცოტა ხნის წინ ნიუ-იორკში ამერიკის სახელწმიფო მდივან ჯონ კერის შეხვდა. პარასკევს ჯარბა და ოპოზიციის კიდევ სამი წარმომადგენელი ნიუ-იორკში გაეროს უშიშროების საბჭოში გამართავენ შეხვედრას. ცოტა ხნის წინ ჯარბა და ამბოხებულების სამხედრო მეთაური, გენერალი სალიმ იდრისი საფრანგეთში პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდს შეხვდნენ.

აშშ-ს გენერალი: ავღანეთში „ალ ქაიდას“ ასზე ნაკლები წევრი დარჩა

ამერიკელი გენერლის ჯოსეფ ოსტერმანის თქმით, ავღანეთში „ალ ქაიდას“ მცირე სახსრები კვლავ რჩება, თუმცა მსხვილი თავდასხმების მოწყობა თითქმის აღარ შეუძლია. გენერალ ოსტერმანის თქმით, რომელიც ავღანეთში ნატოს ძალების მეთაურის მოადგილეა, „ალ ქაიდას“ მებრძოლების მცირე ნაწილი, ძირითადად, ნურისტანის პროვინციაშია თავმოყრილი: „ისინი ასზე ნაკლები არიან და, ფაქტობრივად, გადარჩენისთვის იბრძვიან,“ - განუცხადა გენერალმა გუშინ „როიტერს.“

მაშინ როდესაც ნატოს წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამ პროვინციაში „ალ ქაიდას“ გავლენიანი ფიგურები ლიკვიდირებულნი არიან, ავღანელი სამხედროების ინფორმაციით, პროვინციაში ზოგიერთი უბანი შესაძლოა, შეიარაღებული მებრძოლების - იგულისხმება „თალიბანი“ - კონტროლქვეშ გადავიდეს. ამ რაიონში შეიარაღებული მებრძოლების წინააღმდეგ ამერიკა აქტიურად იყენებს უპილოტო საფრენ აპარატს, რასაც ზოგჯერ მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლი ახლავს. ცოტა ხნის წინ ამერიკამ ყატარში „თალიბანთან“ სამშვიდობო პროცესი დაიწყო, თუმცა მოლაპარაკებები ამჟამად შეფერხებულია. ამერიკის მხარის უმთავრესი მოთხოვნაა, „თალიბანმა“ „ალ ქაიდასთან“ ყველა კავშირი გაწყვიტოს.

იტალიაში 50 მაფიოზი დააკავეს

იტალიის პოლიციის განცხადებით, რომსა და მის შემოგარეში მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე მსხვილი ოპერაცია ჩაატარეს. გავრცელებული ინფორმაციით, ოპერაციის შედეგად 50-ზე მეტი ადამაინი დააკავეს, რომელთა დიდი ნაწილიც რომსა და მის გარეუბნებში ნარკოტიკების გავრცელებაშია ეჭვმიტნილი. ოპერაციაში 500 პოლიციელი, ძაღლები, ვერტმფრენები და სანაპირო პატრული მონაწილეობდა. ამასთან, პოლიციამ მაფიოზების დასაჭერად იტალიის სამხრეთში, კალაბრიაშიც ჩაატარა ოპერაცია.

„სამსუნგის“ მოგება 1,5-ჯერ გაიზარდა

კომპანია „სამსუნგის“ მოგება 2013 წლის მეორე კვარტალში, წინა წლის ამავე პერიოდთან შედრებით, 50 პროცენტით გაიზარდა. კომპანიის განცხადებით, სამხრეთ კორეული კომპანიის სუფთა მოგებამ, აპრილიდან ივნისის ჩათვლით, 6,96 მილიარდ დოლარს მიაღწია. ანალიტიკოსები მოგების გაზრდას სმარტფონ „Galaxy S“-ის წარმატებული გაყიდვებით ხსნიან.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინელებს „სრულიად რუსეთის იმპერატორის“ ვიზიტი აღიზიანებთ

ივა შილაკაძე

რუსეთი, უკრაინა და ბელარუსი რუსეთის გაქრისტიანების 1025 წლისთავს არნახული და მრავალმნიშვნელოვანი მასშტაბით აღნიშნავენ. ზეიმი პარასკევს რუსეთში დაიწყო და კიევში გადაინაცვლა, სადაც სპეციალური მატარებლით უკვე ჩავიდა მოსკოვის და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი. მასთან ერთად კიევში ჩავიდნენ სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებიც. მათ შორის არის სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია მეორეც. კიევში ჩაიტანეს ანდრია პირველწოდებულის ჯვარიც, რომელმაც „სულიერი მხარდაჭერისთვის“ პირველად დატოვა საბერძნეთის ტერიტორია. დღეს კიევში ჩადის რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი, ხოლო მთლიანად საზეიმო ღონისძიებები 29-30 ივლისს მინსკში დამთავდება.

რუსეთის პატრიარქის ბოლო ვიზიტებისას (სტამბოლში, პოლონეთში, ჩინეთში) აშკარად გამოჩნდა რუსეთის მართლამდიდებელი ეკლესიის სწრაფვა საერთაშორისო კავშირების გამყარებისკენ. კირილი ხვდება არა მხოლოდ სასულიერო პირებს, არამედ ქვეყნის საერო ხელმძღვნელებსაც. რუსეთის ხელისუფლება კი ეკლესიასთან პარტნიორულ ურთიერთობებს არც მალავს. ცოტა ხნის წინ პუტინმა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას პირდაპირ უწოდა სახელმწიფოს ნამდვილი პარტნიორი საშინაო და საგარეო ამოცანების გადაწყვეტისას. მან, ფაქტობრივად, ხოტბა შეასხა კირილს და რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

კიევსა და მინსკში პატრიარქის და პრეზიდენტის ერთობლივი პომპეზური ვიზიტი უკრაინაში ბევრს აღიზიანებს და, სავარაუდოდ, უკმაყოფილოები ბელარუსშიც მოიძებნებიან, ოღონდ ამ უკანასკნელებმა შეიძლება, თავისი აზრი იმდენად ღიად ვერ გამოხატონ. კირილის შესახებ უკრაინელები ამბობენ, რომ ის გამოდის არა როგორც ეკლესიის მწყემსი, არამედ როგორც მიტინგზე სიტყვის წარმომთქმელი პოლიტიკოსი. უფრო მეტი პრეტენზიები აქვთ პრეზიდენტ პუტინის მიმართ. ბევრს არ მოსწონს, რომ პუტინი საზეიმო ღონისძიებებში და თან უცხოეთში მონაწილეობს არა როგორც მრევლის რიგითი წევრი, არამედ როგორც „სრულიად რუსეთის იმპერატორი“. ის გეგმავს, რუსეთის სახელმწიფო ჯილდოები გადასცეს უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურებს „დიდი წვლილისთვის ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარებასა და სულიერი ტრადიციების განმტკიცებაში.“

უკრაინელებს უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომებიც (სნაიპერები, ძაღლები, 5 ათასამდე მილიციელი) აღიზიანებთ და ისიც, რომ ეკლესიებში საზეიმო ღონისძიებებზე მრევლის რიგით წევრებს არ შეუშვებენ. დედაქალაქის ცენტრი გადაკეტილი იქნება და შესვლა მხოლოდ საშვებით იწარმოებს.

ცალკე თემაა რუსეთის პრეზიდენტის და პატრიარქ კირილის „დაუძინებელი მტრები“ - ორგანიზაცია „ფემენი“. 24 ივლისს ქუჩაში ჩაუსაფრდნენ, სცემეს და კბილები ჩაუმტვრიეს ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და იდეოლოგს ვიქტორ სვიატსკის. მას, როგორც ჩანს, ტვინის შერყევაც აქვს და ყველაფერი კარგად არ ახსოვს, თუმცა თქვა, რომ სცემდა ორი ადამიანი რკინის ჯოხებით და კასტეტებით. დაემუქრნენ, რომ კაცებით დაიწყებენ და ქალებამდეც მივლენ. „ფემენი“ ამ თავდასხმას მუქარად და ორგანიზაციის დაშინების ღია მცდელობად აფასებს, თუმცა აცხადებენ, რომ გაჩერებას არ აპირებენ.

უკრაინაში ამ საზეიმო ღონისძიებების დროს ნაცინალისტების და პატრიოტების მხრიდან სკანდალებს ელიან. ამ ყველაფერს დაწვრილებით, ასევე პუტინის ვიზიტის პოლიტიკურ ნაწილს ჩვენ კიდევ შევეხებით.

ეგვიპტეში ხალხმრავალი აქციები არმიის მეთვალყურეობით გაიმართა

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

ეგვიპტის არმია აცხადებს, რომ „ძალადობისა და ტერორიზმის“ წინააღმდეგ ძალის გამოიყენებას არ მოერიდება. პარასკევს ქვეყანაში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მსვლელობა ჩატარდა. ერთი აქცია, რომელიც ორი დღის წინ თავდაცვის მინისტრმა აბდელ ფატახ ალ-სისიმ „დაანონსა“, ემსახურება არმიისთვის მეტი ლეგიტიმაციის მიცემას ტერორიზმთან საბრძოლველად. მან მხარდამჭერებს პარასკევს გამოსვლისაკენ მოუწოდა.

ხალხს გამოსვლისკენ მოუწოდა ორგანიზაცია „ტამაროდმაც“. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ერთი თვის წინ აქციები მურსის წინააღმდეგ, რომელსაც მოჰყვა კიდეც სამხედროების მიერ პრეზიდენტ მურსის გადაყენება. „ტამაროდმა“ ხალხს მოუწოდა, ისევე გაავსონ მოედნები და ქუჩები, როგორც ეს 30 ივნისს გააკეთეს.

სამხედროებმა განაცხადეს, რომ მათ არასდროს გამოუყენებიათ და არც გამოიყენებენ იარაღს ხალხის მშვიდობიანი აქციების წინააღმდეგ, მაგრამ ძალადობას და ტერორიზმის გამოვლინებას მკაცრად აღკვეთენ. კონკრეტულად პარასკევისთვის კი სამხედროები მოწინააღმდეგეებს აფრთხილებდნენ, ახალი ხელისუფლების მომხრეთა მარშებისთვის ხელი არ შეეშალათ. არმიის წარმომადგენლების განცხადებით, მათ აქვთ იმის რესურსი, რომ ქუჩაში გამოსული მომხრეები ყველა ქალაქში დაიცვან.

ეს ყველაფერი კაიროში და სხვა დიდი ქალაქებშიც დილიდანვე იგრძნობოდა. ქალაქში გამაკცრებული იყო უსაფრთხოების ზომები და, ფაქტობრივად, ყველგან იდგნენ პოლიციელები და სამხედროები. სტრატეგიულ ადგილებზე ქუჩებში ჯავშანტრანსპორტიორებიც დაყენეს.

ამას გარდა, სამხედროებმა „მუსლიმან ძმებს“ 48 საათი მისცეს ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ „საგზაო რუკასთან“ შესაერთებლად. ეს გეგმა გულისხმობს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანას რეფერენდუმის მეშვეობით და არჩევნების ჩატარებას ნახევარ წელიწადში. ულტიმატუმის ვადა დღეს, შაბათს, იწურება, თუმცა „მუსლიმან ძმებს“ არაფერი ეტყობათ, რომ შეეშინდათ და ახალი მთავრობისთვის ფეხის აწყობას აპირებენ.

კაიროში ახალი ხელისუფლების მომხრეებმა შეკრება პარასკევს გამთენიისას დაიწყეს და დილისთვის „თახრირი“ უკვე თითქმის სავსე იყო.

პარასკევს მსვლელობა გამართეს მოჰამედ მურსის მომხრეებმაც, რომლებიც მურსის პრეზიდენტად დაბრუნებას მოითხოვენ. მურსი ხელისუფლებას 3 ივლისს ჩამოაშორეს და მას შემდეგ გაურკვეველ ადგილზე იმყოფება.

აქციები თბილისის დროით გვიან დამთავრდა და მათ შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ ნომერში ვისაუბრებთ.

ამერიკის მთავრობამ კი ცოტა ხნის წინ განაცხადა, რომ არ აპირებს, ოფიციალურად გამოაცხადოს, აფასებს თუ არა ეგვიპტეში მომხდარს სამხედრო გადატრიალებად. მურსის გადაყენების შემდეგ საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა, თუ რა შეფასებას მისცემდა ამერიკა არსებულ ვითარებას. თუ ამერიკა მომხდარს გადატრილებად შეაფასებს, იგი, ქვეყანაში მოქმედი კანონის თანახმად, ეგვიპტეს დახმარებას ვეღარ აღმოუჩენს. ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ უილიამ ბარნსმა ცოტა ხნის წინ კონგრესის წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ ობამას ადმინისტრაცია ვალდებული არ არის, ეს მოვლენა ოფიციალურად შეაფასოს და ამ განცხადების გაკეთება ამერიკის ინტერესებს არ ემსახურება.

გაერომ უკვე მოუწოდა არმიას მურსის გათავისუფლებისკენ. ბან კი მუნმა ეგვიპტის ახალ ხელისუფლებას მოსთხოვა, ან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ექს-პრეზიდენტი მურსი და „მუსლიმანი“ ძმების სხვა ხელმძღვანელები, ან მათი საქმეები გადაუდებლად განიხილონ სასამართლოებში.

ეგვიპტის ხელისუფლებამ ეს მოთხოვნა გაივალისწინა და გუშინ ეგვიპტის მთავარმა პროკურორმა, გენერალური პროკურატურის მიერ დაწყებული გამოძიების ფარგლებში, მოჰამედ მურსის 15-დღიანი პატიმრობის განკარგულება გასცა. მას ოფიციალურად წაუყენეს ბრალდებები: ციხიდან გაქცევების მოწყობა, სახელმწიფო ღალატი და რიგი ეკონომიკური დანაშაულებები. აღნიშნულის შესახებ სახელმწიფო ტელეარხი „მენა“ იუწყება. ამ დანაშაულთა უმრავლესობა იმ პერიოდს განეკუთვნება, როცა მურსი ჯერ პრეზიდენტი არ იყო და მუბარაქის რეჟიმის წინააღმდეგ იბრძოდა.

„მუსლიმანი ძმების“ წარმომადგენლებს ექს-პრეზიდენტისთვის წაყენებული ბრალდებები სასაცილოდ არ ჰყოფნით. ისინი აცხადებენ, რომ სამხედროები ეგვიპტეში მუბარაქის მმართველობის სტილს აბრუნებენ.

ტუნისში პოლიტიკოსის მკვლელობას გაფიცვა მოჰყვა

პირველი გვერდიდან

პოლიტიკოსის მკვლელობით აღშფოთებული ხალხი ქუჩაში გამოვიდა ქვეყნის რამდენიმე ქალაქში დედაქალაქ ტუნისის ჩათვლით. არეულობის თავიდან ასაცილებლად ღამით ხალხის დასაშლელად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

მოჰამედ ბრაჰიმის მკვლელობის შემდეგ ტუნისის უმსხვილესმა პროფკავშირებმა ხალხს საყოველთაო გაფიცვისკენ მოუწოდა. გაფიცვა გუშინ დაიწყო. მაგალითად, პარასკევს გაუქმდა ავიაკომპანია „ტუნისაირის“ ყველა რეისი. გაფიცვის წინ ტუნისის ყველა დიდ ქალაქში ხალხი ისევ შეიკრიბა ქუჩებში და მთავრობის გადადგომა მოითხოვა.

პრემიერ-მინისტრმა ალი ლარაედმა მკვლელობა დაგმო, თუმცა დასძინა, რომ მთავრობის გადადგომის წინააღმდეგია.

ბრაჰიმის მკვლელობა წელს ტუნისში ოპოზიციონერი პოლიტიკოსისთვის ანგარიშის ფიზიკურად გასწორების უკვე მეორე შემთხვევაა. თებერვალში ასევე საკუთარი სახლის წინ დაცხრილეს შოქრი ბელაიდი, პარტია „გაერთიანებული პატრიოტ-დემოკრატების“ ერთ-ერთი ლიდერი. მისმა მკვლელობამ მაშინ ქვეყანაში არეულობა და ასევე პრემიერ-მინისტრ ჰამადი ჯებალის მთავრობის გადადგომა გამოიწვია (ამის შესახებ თავის დროზე წერდა „24 საათი“).

აჯანყება ტუნისში 2010 წლის ბოლოს პირველი იყო ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების რევოლუციების სერიაში, რომელსაც „არაბული გაზაფხული“ ეწოდა.

მოჰამედ ბრაჰიმიმ თავისი პარტია „სახალხო მოძრაობა“ უკვე 2011 წლის რევოლუციის შემდეგ დაფუძნა. ის ასევე იყო ეროვნული დამფუძნებელი კრების წევრიც, რომელსაც ახალი კონსტიტუციის შემუშავება ევალება. ეს ორგანო დროებით პარლამენტის ფუნქციებსაც ასრულებს. ეროვნული დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილებით, პარასკევი დაღუპული პოლიტიკოსის ხსოვნის დღედ გამოცხადდა.

მოჰამედ ბრაჰიმი არ იყო ისეთივე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა, როგორც შოქრი ბელაიდი, თუმცა ისიც მმართველი ისლამისტური პარტია „ან-ნაჰდადან“ მარცხნივ იდგა. ეს პარტია ქვეყნის სათავეში 2011 წელს პრეზიდენტ ზინ აბიდინ ბენ ალის ჩამოგდების შემდეგ ჩატარებული არჩევნების შედეგად მოვიდა. ბენ ალი მანამდე ქვეყანას 20 წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა.

ტუნისის მთავრობას უწევს, ეკონომიკური პრობლემებისა და ასევე ისლამისტ ფუნდამენტალისტების მხრიდან ექსტრემიზმის გამოვლენის ხშირი შემთხვევების გამო ხალხის მასების სულ უფრო მზარდ უკმაყოფილებას გაუმკლავდეს. „ან-ნაჰდას“ ბევრ მოწინააღმდეგეს მიაჩნია, რომ მმართველი პარტია შეგნებულად უწყობს ხელს რადიკალ-ისლამისტურ მოძრაობებს.

ყოფილი პრემიერ-მინისტრი ჰამადი ჯებალი წლის დასაწყისში იმიტომ გადადგა, რომ შოქრი ბელაიდის მკვლელობის შემდეგ ვერ მოახერხა ნეიტრალური ტექნოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება, რასაც აღშფოთებულ მოსახლეობას შეჰპირდა. მისი მემკვიდრე ალი ლარაედი ახალ კოალიციურ მთავრობას მარტში ჩაუდგა სათავეში, რომელშიც შედიან, როგორც მმართველი პარტია „ან-ნაჰდას“ წარმომადგენლები, ასევე ორი საერო პარტიის წევრები და რამდენიმე დამოუკიდებელი პოლიტიკოსი.

P.S. გუშინ, საღამოს, კი ტუნისის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ორივე პოლიტიკოსს ბელაიდსაც და ბრაჰიმისაც ერთი და იმავე პისტოლეტიდან ესროლეს. მისი სიტყვებით, ეჭვი აქვთ სალაფიტების რადიკალური სექტის წევრზე.

„ბი-ბი-სის“ მიხედვით
მოამზადა ივა შილაკაძემ

კინოგრავიტაცია

პირველი გვერდიდან

ამის იმედს კი, პირველ რიგში ის საკონკურსო ფილმები გვაძლევს, რომელთა ჩამონათვალიც უკვე გამოქვეყნდა, მათ შორის საუკეთესოს კი 28 აგვისტოს გახსნილი ფესტივალის დასკვნით დღეს, 7 სექტემბერს დაასახელებენ.

ვიდრე საკონკურსო პროგრამას გაგაცნობთ, მანამდე ფესტივალის გახსნის ფილმზე გიამბობთ, მით უმეტეს, რომ მისი პირველი ოფიციალური ტრაილერი მხოლოდ ორი დღის წინ გამოჩნდა და უკვე მოახერხა მაყურებლის დაინტრიგება. ეს გახლავთ ალფონსო კუარონის „გრავიტაცია“ - ფანტასტიკური ჟანრის სამგანზომილებიანი ფილმი, რომელიც, თუ რეჟისორის ფაქტორს გავითვალისწინებთ, მხოლოდ ფანტასტიკის ჟანრით არ შემიფარგლება. სწორედ ალფონსო კუარონი გახლავთ დიდებული „კაცობრიობის პირმშოს“ რეჟისორი, რომლის შემდეგაც, უკვე 7 წელიწადია, მას არაფერი გადაუღია (შეგახსენებთ, რომ ასევე კუარონის გახლავთ „ჰარი პოტერი და აზკაბანის ტყვე“ და 1998 წლის „დიდი იმედები“). ამჯერად მექსიკური წარმოშობის რეჟისორი კოსმოსში ინაცვლებს და დედამიწის ორბიტაზე მომუშავე ასტრონავტების კომპანიაში გვამყოფებს. ფილმს ორი ძირითადი გმირი ჰყავს - ჯორჯ კლუნისა და სანდრა ბალოკის პერსონაჟები, რომლებიც ტექნიკური გაუმართავობის გამო ღია კოსმოსში აღმოჩნდებიან. ასტრონავტებს ძალიან ცოტა ჟანგბადი აქვთ, მაგრამ უფრო ცოტა აქვთ გადარჩენის შანსი, რადგან დედამიწასთან კავშირი დაკარგეს, მწვანე პლანეტა კი ნელ-ნელა სულ უფრო პატარავდება. მოკლედ, ვენეციის პირველი დღის სტუმრებს ნამდვილად ელით ნერვიულობა, თუმცა სანერვიულო იმ ფილმების ავტორებს უფრო აქვთ, ვისაც საკუთარი ნამუშევრები ჟიურისა და მაყურებლის სამსჯავროზე გამოაქვთ.

„ნულოვანი თეორემა“

„გრავიტაციის“ ტრაილერის პარალელურად კიდევ ერთი ფილმის პირველი კადრიც ვიხილეთ - ტერი გილიამის „ნულოვანი თეორემისა“, რომელში სათამაშოდაც ბრიტანელმა რეჟისორმა ტილდა სუინტონი, კრისტოფ ვალცი, მეტ დეიმონი, დევიდ ტუილისი და ბენ უიშოუ შეკრიბა. როგორც ფილმის ანოტაცია იუწყება, მაყურებელი ჯორჯ ორუელის „1984-ის“ მსგავს ტოტალიტარულ სამყაროში აღმოჩნდება, სადაც „დიდი ძმაც“ არის და მისთვის ინფორმაციის მიმწოდებელთა არმიაც არ ილევა. აღსანიშნავია, რომ 2009 წლს გამოსული „დოქტორ პარნასუსის წარმოდგენარიუმის“ შემდეგ, რომლის გადაღების დროსაც მთავარი როლის შემსრულებელი, ჰიტ ლეჯერი გარდაიცვალა, „ნულოვანი თეორემა“ გილიამის პირველი ნამუშევარია. სხვათა შორის, ამ ფილმის გადასაღებად მან ასევე მრავალტანჯული პროექტი, „ადამიანი, რომელმაც დონ კიხოტი მოკლა“ შეაჩერა.

ბრიტანული კინოს ერთ-ერთ საუკეთესო წარმომადგენელ, სტივენ ფრირზს ვენეციაში „ფილომენა“ ჩააქვს - დრამა ჯუდი დენჩისა და სტივ კუგანის მონაწილეობით. დენჩის გმირი, ფილომენა ლი მრავალი წლის განმავლობაში მონასტერში ცხოვრების შემდეგ საერო ყოფას უბრუნდება და ათწლეულების განმავლობაში დაკარგული შვილის ძებნას იწყებს. საინტერესოა, რომ ფილმი ცნობილი მწერლისა და ჟურნალისტის, მარტინ სიქსმიტის ნაწარმოებ „ფილომენა ლის დაკარგულ შვილს“ ეფუძნება და მთავარ გმირსაც (სტივ კუგანის პერსონაჟი) მარტინ სიქსმიტი ჰქვია, თუმცა რთული სათქმელია, არის თუ არა ეს ისტორია მისი ბიოგრაფიის ნაწილი.

5 წლიანი პაუზის შემდეგ ახალ ფილმს გვთავაზობს თანამედროვე ანიმეს ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი ჰაიაო მიაძაკი. იაპონელ ანიმატორს ვენეციაში სრუმლეტრაჟიანი Kaze Tachinu (ითარგმნება დაახლოებით როგორც „ქარი ძლიერდება“) ჩააქვს. ანიმე თავად მაიძაკის მანგას ეფუძნება და იაპონელი კონსტრუქტორის, ძირო ხორიკოსის შესახებ მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს გამოსული მიაძაკის „პონიო“ ასევე იყო ნომინირებული ვენეციის „ოქროს ლომზე“, თუმცა იმ წელს პირველობა არავის დაუთმო დარენ არონოვსკის „რესლერმა“. მიაძაკის არც 2004 წელს გაუმართლა, როდესაც ვენეციაში „ჰაულის მოსიარულე სასახლე“ ჰქონდა ჩატანილი - „ოქროს ლომის“ მოთვინიერების პატივი მაიკ ლის „ვერა დრეიკს“ ერგო.

კორმაკ მაკარტის „ღმერთის შვილის“ ეკრანიზაცია გახლავთ საკონკურსო პროგრამის კიდევ ერთი ფილმი - მსახიობ ჯეიმს ფრანკოს მორიგი სარეჟისორო ნამუშევარი. ზოგადად ამერიკული კინო წლევანდელ ვენეციაზე საკმაოდ ვრცლადაა წარმოდგენილი: პიტერ ლენდსმანის „პარკლენდი“, ეროლ მორისის „უცნობი ნაცნობი“ (დოკუმენტური ფილმი დონალდ რამსფელდის შესახებ), კელი რეიჰარდის „ღამე მოძრაობს“, დევიდ გორდონ-გრინის „ჯო“ და ჯონათან გლეიზერის „კანს ქვეშ“.

იტალიურ კინოს წარმოადგენს: ჯანი ამელიოს „უშიშარი“, ემა დანტეს „ქუჩა, კოშკი, დროშა“ და ჯანფრანკო როსის „წმინდა გრაალი“ (დოკუმენტური). აქვეა ფრანგული „ეჭვიანობა“ (რეჟისორი ფილიპ გარელი) და რამდენიმე ფრანგული კოპროდუქცია, მათ შორის, ამოს გიტაის „ანა არაბია“ და რამდენიმე სხვაც (მთელი პროგრამა იხილეთ ფესტივალის ოფიციალურ ვებგვერდზე).

შეგახსენებთ, რომ წლევანდელი კინოფესტივალის ჟიურის ბერნარდო ბერტოლუჩი უხელმძღვანელებს. „სიამოვნებით დავიკავებ ჟიურის თავმჯდომარის სავარძელს და რამდენიმე დღის განმავლობაში ვეზიარები იმ კინოსასწაულს, რომელსაც თანამედროვე კინემატოგრაფისტები მთელ მსოფლიოში ქმნიან. ამ როლში მეორედ ვარ - თავმჯდომარე 1983 წელსაც ვიყავი. მაშინ „ოქროს ლომი“ ჯან ლუკ გოდარს გადავეცით ფილმისთვის „სახელი: კარმენი“. მაშინ ამ გადაწყვეტილების გამო ძალიან ამაყი ვიყავი და, იმედი მაქვს, სიამაყის მიზეზი წელსაც მექნება,“ - ამბობს კინოს პატრიარქი.

საარემაას ოპერის დღეებში - საქართველოსა და ესტონეთის თანამშრომლობა

ანა წულუკიძე

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, 21-28 ივლისს, ესტონეთში, კუნძულ საარემაზე, საარემაას ოპერის დღეებში“ მონაწილეობას იღებს სამი ოპერის თეატრი საქართველოდან - ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი და ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრი.

საქართველო საარემაას ოპერის დღეებში“ ხელშეკრულების საფუძველზე ერთვება, რომელსაც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში, 2013 წლის 7 თებერვალს, ხელი მოაწერეს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველმა გიორგი ჟორდანიამ და ფესტივალის ორგანიზატორი კომპანიის, ესტონეთის სახელმწიფო საკონცერტო ორგანიზაციის Eesti Kontsert“-ის დირექტორმა იური ლეიტენმა.

ოპერის ფესტივალი საარემაას კუნძულზე პირველად 1999 წელს გაიმართა. წლების განმავლობაში ფესტივალი პარტნიორობს მსოფლიოში ცნობილ ოპერის თეატრებთან; მასში მონაწილეობას იღებენ სახელგანთქმული სოლისტები და დირიჟორები. ყოველწლიურად ღონისძიების სტუმართა რიცხვი იზრდება, გასულ ზაფხულს ფესტივალმა 12,000 ადამიანს უმასპინძლა. 2008 წლიდან ფესტივალის ორგანიზატორია ესტონეთის სახელმწიფო საკონცერტო ორგანიზაცია Eesti Kontsert“.

ვიზიტის ფარგლებში გუშინ კურესაარის ციხესიმაგრეში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ და ესტონეთის კულტურის მინისტრი რეინ ლანგიმ ხელი მოაწერეს ორ ქვეყანას შორის 2013-2016 წლებში კულტურული თანამშრომლობის შესახებ პროგრამას.

პროგრამა ითვალისწინებს ესტონეთის გამოცდილების გაზიარებას ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შემუშავებაში. ასევე, თანამშრომლობასა და დიალოგს მუსიკალურ, თეატრალურ და სხვა კულტურულ ინსტიტუტებსა და ასოციაციებს, კულტურისა და ხელოვნების სფეროებში მოღვაწე პირებს შორის; მხარეები ხელს შეუწყობენ ესტონელი და ქართველი შემოქმედი ადამიანებისა და ხელოვანთა ჯგუფების მონაწილეობას ორ ქვეყანაში ჩატარებულ საერთაშორისო ფესტივალებში, ღონისძიებებსა და კონკურსებში; პროგრამის ფარგლებში ერთობლივად იმუშავებენ თანამედროვე პროზის, პოეზიისა და სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების მეორე ქვეყნის ენაზე თარგმნის ხელშეწყობის კუთხით; განავითარებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში თანამშრომლობას; უზრუნველყოფენ მუზეუმებს შორის კავშირების დამყარებასა და გამოცდილების გაზიარებას; პროგრამა ასევე, ითვალისწინებს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების, დიზაინისა და არქიტექტურის სფეროში თანამშრომლობას; მხარეები, საქართველოში ესტონური ფილმის დღეებისა და ესტონეთში ქართული ფილმის დღეების ფარგლებში, ხელს შეუწყობენ უშუალო თანამშრომლობას კინემატოგრაფიის დარგში, განხილული იქნება ფილმების ერთობლივი წარმოების შესაძლებლობებიც.

რაც შეეხება საოპერო მუსიკის პესტივალს. 22 ივლისს ბათუმის სახელმწიფო ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრი ფესტივალის მსმენელის წინაშე გაეტანო დონიცეტის დრამით ლუჩია დი ლამერმორი“ წარსდგა. მეორე დღეს თბილისის ზ.ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი - ჯუზეპე ვერდის ოპერით რიგოლეტო“. მოგვიანებით კი ატილა“. ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის სახელმწიფო თეატრმა ჯაკომო პუჩინის მადამ ბატერფლაი“ შეასრულა.

საფესტივალო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან ჩასულმა დასებმა ფესტივალის სტუმრებს ასევე წარუდგინეს ქართული ფოლკლორის საღამო. საოპერო დადგმების გარდა, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა გუშინ საღამოს საბალეტო დასი გააცნო აუდიტორიას. ფესტივალის დასრულებამდე დღეს გაიმართება გალა კონცერტი ვაგნერის და ვერდის 200 წლისთავისადმია მიძღვნილი. ამ კონცერტში მონაწილეობას იღებენ ქართველი და ესტონელი საოპერო სოლისტები, ასევე ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, ვოკალისტები, მოცეკვავეები და ორკესტრი მაესტრო ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით.

ახალი ვიცე-პრემიერი

მთავრობის სხდომაზე კიდევ ერთი საკადრო გადაწყვეტილების შესახებ გახდა ცნობილი. გიორგი მარგველაშვილის გადადგომის შემდეგ პრემიერ-მინისტრმა ვიცე-პრემიერად ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი წარადგინა.

კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომის შემდეგ ჟურნალისტებს უთხრა, რომ საქართველოს მთავარი პრიორიტეტი დღემდეც ეკონომიკა იყო და მომავალშიც აქცენტი ეკონომიკაზე გაკეთდება. ვიცე-პრემიერის თქმით, მთელი ეკონომიკური გუნდი ინტენსიურად იმუშავებს იმ ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ქვეყნის წინაშე დგას.

გიორგი კვირიკაშვილმა რამდენიმე აქტუალურ საკითხზეც ისაუბრა, მათ შორის ბოლო დღეებში ნავთობპროდუქტებზე ფასების მატების საკითხს შეეხო.

„ვერ გეტყვით, საწვავის ფასების ზრდა რამ გამოიწვია,“ - თქვა ეკონომიკის მინისტრმა. კვირიკაშვილი გამოსავალს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ცვლილებებში ხედავს. მისი თქმით, დიდი ხანია, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ცვლილებების პროექტი მზადდება. თუმცა, როგორც მინისტრი ამბობს, პროექტი ბიზნესის ყველა ფენას მოიცავს და იმდენად ვრცელია, რომ პარლამენტში მისი წარდგენა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. კვირიკაშვილის ვარაუდით, საკანონმდებლო ცვლილებების მიღება წლის ბოლომდე შესაძლებელი გახდება. როგორც ვიცე-პრემიერი ამბობს, განსხვავებული სტრუქტურული ერთეული, კონკურენციის სააგენტო ჩამოყალიბდება და მას ბაზარზე ზემოქმედების ბერკეტები ექნება. ამასთან, კვირიკაშვილი ამბობს, რომ მთავრობის მიზანია, ყველა ის ბარიერი მოხსნას, რომლებიც ახალი სუბიექტების შემოსვლას აფერხებს. მისი თქმით, ამ ღონისძიებების შედეგად ბაზარს რამდენიმე ახალი საბითუმო შემომტანი დაემატა. ხოლო, ახალი საცალო ქსელები ამჟამად იქმნებს.

„რამდენიმე ინვესტორს პირადად შევხვდი და მიგვაჩნია, რომ სწორი გზით მივდივართ,“ - ამბობს კვირიკაშვილი.

კვირიკაშვილი ევროკავშირთან ურთიერთობების შესახებაც საუბრობს. მისი აზრით, ევროკავშირთან „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმებაზე მოლაპარაკების დასრულების შემდეგ საინფორმაციო კამპანია დაიწყება. მან „ევრონიუსის“ გენერალურ დირექტორთან გამართული შეხვედრის დეტალებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ „ევრონიუსის“ მეშვეობით საჭიროა, საქართველოს, როგორც მიმზიდველი საინვესტიციო მიმართულების შესახებ, ცნობადობა გაიზარდოს. ვიცე-პრემიერის თქმით, „ევრონიუსი“ თანამშრომლობისთვის მზადყოფნას გამოთქვამს. შემდეგ ეტაპზე საქართველოში „ევრონიუსის“ წარმომადგენლობის გაზრდის საკითხი განიხილება. როგორც კვირიკაშვილი ამბობს, ქართულმა მხარემ შეხვედრაზე გამოთქვა სურვილი, რომ იმ 13 ენას, რომლებზეც „ევრონიუსი“ მაუწყებლობს, ქართულიც დაემატოს, თუმცა მანვე აღნიშნა, რომ ჯერ ამის შესახებ საუბარი ნაადრევია.

ეკონომიკის მინისტრი უმრავლესობის წევრ გედევან ფოფხაძის ინიციატივით პარლამენტში „სააღსრულებლო წარმოების შესახებ“ კანონსა და სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების პირველი მოსმენით მიღებასაც ეხმიანება. კანონპროექტის თანახმად, იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე, რომელზეც მესაკუთრეს საკუთრების უფლება ჩამოერთვა, სააღსრულებლო პროცედურები 6 თვით ჩერდება.

კვირიკაშვილის თქმით, ასე ერთი ხელის მოსმით აღსრულების პროცედურის მთლიანად შეჩერება ეკონომიკისთვის მიუღებელია. მისი აზრით, თუ კანონპროექტს იმ სახით მიიღებენ, როგორც ინიცირებულია, საბანკო სექტორს დიდი ზიანი მიადგება.

კვირიკაშვილის თქმით, გასათვალიწინებელია ის მექანიზმი, რომელიც მოქმედ კანონმდებლობაშია ასახული, რაც განსაკუთრებულ შემთხვევებში აღსრულების შეჩერებას ან გადადებას გულისხმობს.

ვიცე-პრემიერის ინფორმაციით, უახლოეს დღეებში მთავრობა და საპარლამენტო უმრავლესობა კანონპროექტის საკითხზე კონსულტაციებს გამართავენ.

პარლამენტის გადაწყვეტილებას აკრიტიკებს პრემიერ-მინისტრი. ივანიშვილის აზრით, კანონპროექტის განხილვისას პარლამენტი უპასუხისმგებლოდ მოიქცა, რადგან საკითხი მთავრობაში განხილული არ იყო. **„პარლამენტმა მთავრობის პოზიცია არ გაითვალისწინა და გადაწყვეტილება პირველი მოსმენით მიიღო. გარდა ამისა, ბანკებთან შეუთანხმებლად ასეთი კანონპროექტის მიღება აბსოლუტურად გაუაზრებელი ნაბიჯია,“** - მიიჩნევს ივანიშვილი.

პრემიერ-მინისტრი აპირებს, უმრავლესობის წევრებს აუხსნას, რომ არ შეიძლება, სახელმწიფომ ბიზნესს უკარნახოს. **„ბანკებს იპოთეკური სესხები აქვთ გაცემული და შესაძლებელია, დაზარალდნენ,“** - ამბობს ივანიშვილი. მას გადაწყვეტილი აქვს, უმრავლესობის წევრებს შეხვდეს, რათა დაარწმუნოს, რომ კანონპროექტის განხილვა არ გაგრძელონ. **„პარლამენტმა კანონპროექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაუჭიროს მხარი, თუ ის ბიზნესისთვის გასაგები იქნება.**

ასე მოწყვეტილად განხილვა, რომ არც მთავრობას შეუთანხმო, არც ბიზნესს, ზუსტად პოლიტიკური სიყმაწვილეა. გადაწყვეტილებები ასე არ მიიღება, - აღნიშნავს პრემიერ-მინისტრი.

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.5105
AMD	1000 სომხური დრამი	4.0407
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.5310
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.1119
BGN	1 ბულგარული ლევი	1.1152
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.7422
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.8719
CAD	1 კანადური დოლარი	1.6023
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7642
CNY	10 ჩინური იუანი	2.6994
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8392
DKK	10 დანიური კრონი	2.9261
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.3661
EUR	1 ევრო	2.1822
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5419
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1355
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7394
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.6390
INR	100 ინდური რუპია	2.7732
IRR	10000 ირანული რიალი	0.6737
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3732
JPY	100 იაპონური იენი	1.6576
KGS	100 ყირგიზული სომი	3.3810
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8147
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.0825
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.3258
LVL	1 ლატვიური ლატი	3.1081
MDL	10 მოლდავური ლეი	1.2938
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.7924
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3220
PLN	10 პოლონური ზლოტი	5.1682
RON	10 რუმინული ლეი	4.9390
RSD	100 სერბიული დინარი	1.9252
RUB	100 რუსული რუბლი	5.1271
SEK	10 შვედური კრონი	2.5539
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3090
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4743
TMT	10 თურქმენული მანათი	5.8126
TRY	1 თურქული ლირა	0.8651
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0726
USD	1 აშშ დოლარი	1.6566
UZS	1000 უზბეკური სუმი	0.7871
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	1.6846
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4831
QAR	10 ყატარული რიალი	4.5497

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%
S&P/TSX Composite Index	12,680.60	-64.78	-0.51%
Nasdaq Composite Index	3,575.84	-3.43	-0.10%
Dow Jones Industrial Average	15,503.70	-64.09	-0.41%

კროსვორდები



	1				2			9
			5					8
		5			7	3		4
		6		7			4	5
7	3			4		1		
4		3	1			5		
9					8			
8			2				9	

5				3		4		
			1			3		2
	1	3	8					
	8		7					
		2				5		
					2		8	
					4	8	6	
7		5			8			
		1		9				4

2					9			4
	3		2	8		7		
	6			7				8
	4	2		9				
1								5
				1		6	4	
9				2			8	
		4		6	1		7	
6			8					9

„დილას" მომავალი მეტოქე ექვსიანებში ზის

პირველი გვერდიდან

თბილისში დანიურ „ოლბორგთან" 3:0 მოგებული მატჩის შემდეგ, უეფას ევროპის ლიგის მეორე ეტაპის განმეორებით შეხვედრაში გორის „დილას" შემდეგ ეტაპზე გასვლა პრობლემა რომ არ უნდა ყოფილიყო, ეს თბილისურმა მატჩმაც აჩვენა. გორელებს ანგარიშიც ხელს აძლევდათ და თამაშის ის ხარისხიც, რომელიც ბევრისთვის მოსაწონი და იმედისმომცემი გამოდგა.

„დილაზე" გაცემული ავანსი დანიაშიც გამართლდა. გორელებმა სკანდინავიურ კლუბთან შეხვედრა თავისთვის სასურველი ანგარიშით - 0:0 დაასრულეს და მზერა „ჰაიდუკისკენ" მიაპყრეს, რომელმაც მაკედონიურ „ტურნოვოს" სძლია (პირველი მატჩი 2:1 მოიგო, მეორეში 1:1 ითამაშა) .

„დილა" „ჰაიდუკისთვის" ხორვატიაში ემზადება

„დილა" VS „ოლბორგი" სანახაობრივად დიდი ვერაფერი გამოდგა. მიზეზი, ალბათ, ისიც იყო, რომ გორელებს „მიხეილ მესხზე" პირველ მატჩში მიღწეული შედეგი უმაგრებდათ ზურგს. მართალია, გორულ კლუბს რამდენიმე საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ არა ისეთი, რომ გადაჭრით გეთქვა, რეალური შანსი გაუშვეს ხელიდანო. ქართველთაგან გოლის გატანის ყველაზე რეალური შანსი ჰქონდა შეცვლაზე შესულ კახა ალადაშვილს - 77-ე წუთზე ის შეეცადა მეკარისთვის ბურთი თავზე გადაეგდო. „ოლბორგი" ხარიხამ იხსნა გოლისგან.

ევროპის ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასულ გორის „დილას" 1 აგვისტოს სპლიტის „ჰაიდუკთან" მოუწევს შეხვედრა (განმეორებითი მატჩი 8 აგვისტოსაა თბილისში).

გადაულახავ ბარიერად არც „ჰაიდუკი" მოჩანს. ხორვატულ კლუბთან წარმატების შემთხვევაში, „დილა" ზედიზედ მეორე ფლეი ოფში გავა.

კარგი იქნებოდა, „ჰაიდუკთან" პირველ მატჩს გიორგი დევდარიანის გუნდი დისკვალიფიცირებულთა გარეშე შეხვედროდა - ალადაშვილმა „ოლბორგთან" ორივე მატჩში გაფრთხილება მიიღო, რაც მას ხორვატებთან პირველ, გასვლით შეხვედრას გამოატოვებინებს.

სპლიტის „ჰაიდუკი" ხორვატიის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბია: ხორვატიის ექვსგზის ჩემპიონი (1992, 1994, 1995, 2001, 2004, 2005), ქვეყნის თასის ასევე ექვსგზის (1993, 1995, 2000, 2003, 2010, 2013) და სუპერთასის ექვსგზის (!) (1992, 1993, 1994, 1995, 2004, 2005) მფლობელი. არაფერს ვამბობთ, ყოფილი იუგოსლავიის ჩეპიონატში დაკავებულ ადგილებზე.

19-წლამდელები ევროპის ჩემპიონატს თურქეთმა გამოთიშა

გიგა გურასაშვილი

საქართველოს 19-წლამდე ნაკრების თეორიული შანსი, გადაელახათ ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი, თეორიადვე დარჩა. თეორიულად ქართველებს თურქი თანატოლები უნდა დაემარცხებინათ, სერბებს კი - ფრანგები. საქართველო თურქეთთან 2:4 დამარცხდა, მეორე წყვილში კი ფრანგებმა 2:1 გაიმარჯვეს.
ერთი სიტყვით, არაფერი არ გამოვიდა. გია ცეცაძის გუნდს რომ მოეგო კიდეც, სერბეთისა და საფრანგეთის მატჩის ანგარიში ხელს მაინც არ აძლევდა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისთვის სერბეთთან 0:1 წაგებული მატჩი საბედისწერო გამოდგა. ბაკლანალებთან მარცხის შემდეგ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია ცეცაძე ამბობდა, ბოლო თამაშში აუცილებლად უნდა გავიმარჯვოთ. სხვა თუ არაფერი, პრინციპის საკითხია, ევროპის ჩემპიონატზე ერთი თამაში მოვიგოთ. ფრეც გვქონდა (საფრანგეთთან ნულოვანი ფრე), წაგებაც და ახლა გამარჯვების დრო მოვიდა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაქსიმალურად ვეცდებითო.

მცდელობა იყო, მაგრამ თავს ზევით ძალა - არა.

საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში თურქეთთან დამარცხდა. არადა, შეხვედრა ისე დაიწყო, გარკვეული იმედი ჩაგვესახა. გია ცეცაძის შეგირდებმა, ავთანდილ ენდელაძის წყალობით, მესამე წუთზე გახსნეს ანგარიში. თურქებმა გოლს გოლით უპასუხეს, მოგვიანებით კი ანგარიშში დაწინაურდნენ. დუბლი შეასრულა ოქან დენიზმა - მე-16 და მე-18 წუთებზე დალაშქრა ბაჩო მიქავას კარი.

პირველივე ტაიმში, 28-ე წუთზე, ანგარიშის გათანაბრების შანსი ჰქონდა ნიკა კაჭარავას, მაგრამ მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი ვერ გამოიყენა. გამოუყენებელი პენალტი ნიკა კაჭარავამ მეორე ტაიმში აინაზღაურა - 50-ე წუთზე ონურჯან პირის კარში ბურთი შეაგდო და ანგარიში გაათანაბრა (2:2).

თურქებმა ისევ შეძლეს წინ გასვლა - 58-ე წუთზე რეჯეპ ნიაზმა გაიტანა გოლი (2:3).

76-ე წუთზე მთივლიშვილმა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა. კაცნაკლულ საქართველოს ნაკრებთან თურქებმა თავიანთი უპირატესობა მე-80 წუთზე კიდევ უფრო გაამყარეს. ჩენკ შაჰინმა ორამდე გაზარდა სხვაობა - 4:2 საბოლოო ანგარიში აღმოჩნდა.

პარალელურად ჩვენი ჯგუფის მეორე დაპირისპირებაში საფრანგეთისა და სერბეთის 19-წლამდელთა მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა.

ნახევარფინალის საგზურები სერბეთმა და საფრანგეთმა მოიპოვეს. საქართველო ჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა.

საქართველო: მიქავა, მთივლიშვილი, ჭანტურია (ცნობილაძე, 38), დვალი, სანდოხაძე (კ), უბილავა (ზივზივაძე, 74), სამუშია (ზარანდია, 59), ენდელაძე, მარკოზაშვილი, ფანცულაია, კაჭარავა.

მთავარი მწვრთნელი: გია ცეცაძე

თურქეთი: პირი, იაზიჩი, ჩინემრე, ჩალიკი, უჩანი, შაჰინი (გიუვენი, 82), იოკუშლუ (კ), ნიუაზი, აიდინი (ქოშკუნი, 59) თუფანი, დენიზი (ბაკიში, 84).

მთავარი მწვრთნელი: ოქან ბურუქი

გოლი: 1:0 ენდელაძე (3), 1:1 დენიზი (16), 1:2 დენიზი (18), 2:2 კაჭარავა (50), 3:2 ნიუაზი (58), 4:2 შაჰინი (80).

გაფრთხილება: მთივლიშვილი (22), ჩალიქი (23), უბილავა (25), მთივლიშვილი (76)

გაძევება: მთივლიშვილი (76)

28-ე წუთზე ნიკა კაჭარავამ პენალტი ვერ გამოიყენა.

მთავარი მსაჯი: გედიმინას მაჟეიკა (ლიტვა)

B ჯგუფი

	თ	მ	ფ	წ	ქ
1. სერებეთი	3	2	1	0	7
2. საფრანგეთი	3	1	2	0	5
3. თურქეთი	3	1	0	2	3
4. საქართველო	3	0	1	2	1

ჯაბა კანკავასთვის სამშობლო ცარიელი სიტყვა არ არის

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს" საყრდენ ნახევარმცველს ჯაბა კანკავას ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა და მსხვილმა უკრაინულმა სპორტულმა გამოცემა „კომანდამ" (**Команда**) ჩამოართვა ინტერვიუ, რომელშიც უკრაინელთა ქართველი ლეგიონერი ამბობს, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ ყოველთვის მზადაა. უკრაინის ჩემპიონატში მეორე ტურის შემდეგ ლიდერობს „დნიპრო", რაშიც საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანსაც მიუძღვის წვლილი.

- მარიუპოლში გამარჯვება უფრო ძნელი იყო თუ საკუთარ მოედანზე კიევის „არსენალთან"?

- რა თქმა უნდა, „ილიჩივეცის" დამარცხება, თან მის ტერიტორიაზე ძნელი იყო. მარიუპოლელებს კარგი, ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ. ძალიან მონდომებული არიან და ერთმანეთის დაზღვევას ყოველთვის ცდილობენ. ამიტომ მათთვის ბურთის ართმევა ძნელია. ჩვენი უპირატესობა გოლად რომ გვექცია, ბევრი ოფლის ღვრა მოგვიხდა. გარდა ამისა, დღეს უკრაინის ჩემპიონატში სტუმრად მოგება ადვილი არ არის.

- ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ ოქრიაშვილის წინააღმდეგ პერსონალურად მოქმედებდით, რადგან ხშირად გიწევდათ მასთან შეტაკება...

- ამას შეტაკებას ვერ დავარქმევდი. თორნიკეს წინააღმდეგ პირველად მომიხდა ბრძოლა. ის ტექნიკური და ძალიან სწრაფი ფეხბურთელია. როცა მისი გუნდი კონტრშეტევაზე გადადის. მისი დაჭერა ადვილი არ არის. თუმცა, ვფიქრობ, გავუმკლავდი და თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენის საშუალება არ მივეცი. თუმცა, მარტო ოქრიაშვილის წინააღმდეგ არ ვმოქმედებდი - ბევრი სამუშაო მქონდა.

- ჩემპიონატის სტარტზე ორივე მატჩი თავიდან ბოლომდე ჩაატარეთ. მწვრთნელი ბოლომდე გენდობათ?

- რადგან ძირითადში მაყენებს და არ მცვლის, ესე იგი, მენდობა. თუმცა, ვიცი, რომ ძირითადში თამაშის უფლების მისაღებად ყოველ მატჩში ბოლომდე უნდა ვიბრძოლო. „დნიპროში" კონკურენცია არანორმალურად მაღალია.

- სტატისტიკის თანახმად, თითოეულ მატჩში საშუალოდ ექვსშვიდ ჯარიმას იღებ. იძულებითი რისკია?

- ჯარიმებს არ ვითვლი. ჩემთვის მთავარია, მეტოქე ისე შევაჩერო, რომ ყვითელი ან წითელი ბარათი არ მივიღო. მადლობა ღმერთს, ჯერჯერობით სასჯელს გადავურჩი. უფრო სწორად, ზღვარს არ გადავსულვარ და მსაჯების პროვოცირება არ მომიხდენია.

- საკუთარ სათამაშო ფორმას როგორ შეაფასებთ?

- ეს მთავარმა მწვრთნელმა უნდა შეაფასოს. თუ ხუანდე რამოსს შენიშვნა აქვს ან რამის თქმა უნდა, ვარჯიშის დროს ყველაფერს დაწვრილებით მიხსნის. იმის მიხედვით, თუ ვის ვეთამაშებით, ზოგჯერ მწვრთნელი ინდივიდუალურ დავალებას მაძლევს.

- ზოგიერთი სპეციალისტი ფიქრობს, რომ „დნიპროს", რომელმაც კარგი სტარტი აიღო, სეზონის საშემოდგომო ნაწილზე ძალა არ ეყოფა...

- ვერ გეტყვით, ამას რატომ ამბობენ. თავს საუცხოოდ ვგრძნობთ - ფეხები დარბიან, თავი კარგად მუშაობს, სხვა რა არის საჭირო? რამდენად გვეყოფა ძალა, ვფიქრობ, მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ფეხბურთი არის თამაში, რომელიც ყოველთვის ლოგიკურად არ მთავრდება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. რაც შეეხება განვლილ გაზაფხულზე ჩვენს თამაშს, ჩავარდნაში დამნაშავე მხოლოდ ჩვენ ვართ. დარწმუნებული ვარ, ის გამოცდილება გამოგვადგება და დამიჯერეთ, სათანადო დასკვნები გავაკეთეთ.

- მესამე ტურში მასპინძლობთ „ზარიას", რომელიც ჯერჯერობით გაორებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. „დნიპროს" გამარჯვება გარანტირებული აქვს?

- წარმატებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ იოლი თამაში არ გვექნება. მიუხედავად იმისა, რომ ლუგანსკელებმა საშინაო მატჩში ქულები დაკარგეს, ჩემი აზრით, ისინი კარგად თამაშობენ.

- საქართველოს ნაკრებში მიწვევა თქვენთვის სტიმულია?

- ვისთვის არ არის ეს სტიმული? ჩემთვის სამშობლო ცარიელი სიტყვა არაა. მზად ვარ, ეროვნულ ნაკრებში პირველი გამოძახებისთანავე ჩავიდე.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allMovies.ge
Pink